

GSP

საქართველო

GSP

შ.პ.ს. “გეოსტანდარტპროექტი”



“GEOSTANDARDPROJECT” L.T.D.”

ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ,
ნაკვ. №01.19.18.003.132-ში რადიოფარმაცევტული
საწარმო შენობის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

თბილისი
2022

შ.პ.ს. “გეოსტანდარტპროექტი“

ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ,
ნაკვ. №01.19.18.003.132-ში რადიოფარმაცევტული
საწარმო შენობის პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების
ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
“გეოსტანდარტპროექტი“-ს
დირექტორი,



ქ. ცხომელიძე

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი

გ. სადრაძე

სარჩევი

1. შესავალი -----	2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია -----	3
3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები -----	4
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები -----	5
5. დასკვნები და რეკომენდაციები -----	8

დანართები

ჭაბურღილების განლაგების სქემა -----	1 ფ.
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი -----	3 ფ.
ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი -----	7 ფ.
ლაბორატორიული კვლევების ჯამური უწყისი -----	1 ფ.
გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები -----	12 ფ.
ქანის ერთღერძა კუმშვაზე გამოცდის შედეგები -----	5 ფ.
წყლის ქიმიური ანალიზი -----	3 ფ.
სტატისტიკური დამუშავების შედეგები -----	3 ფ.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132-ში

რადიოფარმაცევტული საწარმო შენობის პროექტი

1. შესავალი

დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. “გეოსტანდარტპროექტი“-ს გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩაზე. კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს დასაპროექტებელი ნაგებობის მშენებლობისთვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობებისა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა. დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ორსართულიანი შენობა. საპროექტო შენობა გეგმაში ოთხკუთხედის ფორმისაა, ზომებით 35,0 x 34,0 მ. შენობის ტიპი კარკასულია, სართულშუა გადახურვა – მონოლითური ფილა, საძირკვლის სავარაუდო ტიპი — დადგინდება საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ნაგებობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია”. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად, სამშენებლო მოედანზე გაყვანილია 7 ჭაბურღილი 10,0-18,0 მ-მდე ჩაღრმავებით, საერთო სიღრმით 86,0 გრძ/მ. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატის УРБ – А-2А -ის გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, საცავი მიღების გამოყენებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები შესრულდა შ.პ.ს. “თბილისინვესტპროექტი“-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გამონამუშევრების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-

გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებელი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 02.01-08 – შენობების და ნაგებობების ფუძეები, პნ 01.01-09 – სეისმომდებელი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები) ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები: კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2022 წლის ნოემბერში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ნაწილში, ისანი-სამგორის რაიონში. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით უბანი განეკუთვნება IIIგ (№52 თბ. აეროპორტი) კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,3°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –23°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ნალექების წლიური რაოდენობა 540 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი — 142 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი — 14. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ — 1,05 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ — 1,44 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ — შესაბამისად 33, 41, 43, 44, და 48 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A - 0,17.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი მდებარეობს ძეგვი-მახათას მაღლობის აღმოსავლეთი ფერდის შუა ნაწილში. ტერიტორიის რელიეფი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილი, უსწორმასწორო ზედაპირით არის წარმოდგენილი. სამშენებლო მოედანს დასავლეთიდან დაბალსართულიანი შენობები ესაზღვრება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის, მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 523,0–526,0 მ-ის ფარგლებში იცვლება.

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტებს წარმოადგენენ ქვემო სამგორის არხი და თბილისის ზღვა, ქვემო სამგორის არხი აღმოსავლეთ საქართველოში, ივრის ზეგანსა და გარდაბნის ვაკეზე. არხის სიგრძე 48,1 კმ, სარწყავი ქსელის ჯამური სიგრძე 441,9 კმ, არხი რწყავს ძირითადად გარდაბნის მუნიციპალიტეტის, აგრეთვე თბილისის მიწებს. თბილისის ზღვა (თბილისის წყალსაცავი) მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. გავრცელება აქვს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წყალსაცავი განიერია, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ვიწროვდება. წყალსაცავის სიგრძე 8,75 კმ-ია, სიგანე – ყველაზე განიერ ნაწილში – 1,85 კმ, ფართობი შეადგენს 11,6 კმ², წყლის მოცულობა 308 მლნ. მ³. ყველაზე ღრმა ნაწილში წყალსაცავის სიღრმე 45 მ-ია, საშუალო სიღრმე 26,5 მ-ს შეადგენს.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის (გ. გუჯაბიძე, ე. გამყრელიძე 2003) მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით, ამ ძირითად ქანებზე ზემოდან განლაგებულია მეოთხეული ასაკის დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტები, რომლებიც შეიცავს ქვიშნარის ლინზებს და შუაშრეებს, თაბაშირს, ღორღს და კენჭებს შეიცავენ. ამ ფენების სახურავს წარმოადგენს ტექნოგენური გრუნტი.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და

გეოლოგიური აგებულებით. მიწისქვეშა წყალი თიხოვან გრუნტს, ქვიშნარის ლინზებშია გავრცელებული.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07.-87-ის დანართი 10-ის მიხედვით, უბანი II (საშუალო) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია 7 ჭაბურღილი, მაქსიმალური სიღრმით - 18,0 მ, ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, უბანზე გამოყოფილია ოთხი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQIV – წარმოდგენილია თიხნარის მასით, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული. ფენის სიმძლავრე 1,0-2,5 მ-ია. ფენა ფუძის გრუნტებად არ განიხილება, ამიტომ, იგი არ დასინჯულა. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-a-II კატეგორიას.

ფენა №2 თიხა - pdQIV – მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგ/სმ² 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: ტენიანობა, სიმკვრივე, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, პლასტიურობის რიცხვი, დენადობის მაჩვენებელი. თავისუფალი გაჯირჯეების ხელსაწყოთი (ПНГ) განისაზღვრა გრუნტის ჯირჯვადი თვისებები. ხელსაწყოში გრუნტის სამდლიანი დასველების შემდეგ დადგინდა, რომ გრუნტს ჯირჯვადი თვისებები არ ახასიათებს. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დახასხელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³	1,95

2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	1,60
3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	2,72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,221
5	ფორიანობა	n	%	41
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,703
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W _L	ერთ. ნაწ.	0,384
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	W _p	ერთ. ნაწ.	0,201
9	პლასტიურობის რიცხვი	I _p	ერთ. ნაწ.	18,4
10	დენადობის მაჩვენებელი	I _L	ერთ. ნაწ.	0,11
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,86
12	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,42
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ ²	210
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	18°
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ ²	0,63
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R ₀	კგძ/სმ ²	3,8

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-r-III კატეგორიას.

გრუნტი სვისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 თიხა - pdQ_{IV} – მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. რომლებზეც ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ² 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 2

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³	1,88
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	1,48
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	2,73
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,271
5	ფორიანობა	n	%	46
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,849
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W _L	ერთ. ნაწ.	0,420
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	W _p	ერთ. ნაწ.	0,194
9	პლასტიურობის რიცხვი	I _p	ერთ. ნაწ.	22,6
10	დენადობის მაჩვენებელი	I _L	ერთ. ნაწ.	0,34

11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,87
12	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,42
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ ²	150
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	17 ⁰
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ ²	0,41
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R ₀	კგძ/სმ ²	2,7

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 8-ნ-II კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №4 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – P2³ – მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, თიხურ-კარბონატულ ცემენტზე, მცირე სიმტკიცის. ქვიშაქვების ტექსტურა უწესრიგოა. არგილიტების თხელი შრეები, ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის დასტებად არის განლაგებული. ნაპრალები შევსებულია კალციტითა და გამოფიტვის მასალებით. ქანების წოლის ელემენტებია: დაქანების აზიმუტი: az: 160-170⁰, დახრის კუთხე 20-25⁰-ია. ფენა დასინჯულია 6 ნიმუშით. ნიმუშებზე ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთდერდა კუმშვისას, როგორც ბუნებრივ, ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების მასალები და შედეგები წარმოდგენილია დანართებში ცხრილების სახით.

ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³	2,10
2	ტენიანობა	W	%	8,2
3	სიმტკიცე ერთდერდა კუმშვაზე წყალში	R _c	მპა	8,8
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა	2000
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,20

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, კლდოვან, დარბილებად, მცირე სიმტკიცის ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-ნ-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი მიწის ზედაპირიდან 6,0 მ-ის სიღრმიდან დაფიქსირდა თიხოვან გრუნტში, ქვიშნარის ლინზებში. წყალი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178 - 76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W₄ მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია W₆ და W₈ მარკის ბეტონების მიმართ. არ არის აგრესიული პორტლანტცემენტის სახ.სტანდარტი 10178-76 კლინკერში ჩანართებით

C₃S არაუმეტეს 65%; C₃A არაუმეტეს 7%; C₃A+ C₄AF არაუმეტეს 22%;
 წიდაპორტლანდცემენტზე და აგრეთვე სულფატომედეგი სახ.სტანდარტი 22266-76
 დამზადებული წყალშეუღწევადი W₄, W₆, W₈ მარკის ბეტონების მიმართ.

არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წყალში
 მუდმივი დაძირვის პირობებში, სუსტად აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, რადიოფარმაცევტული საწარმო
 შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვ. №01.19.18.003.132 მდებარეობს
 სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მცირედ დახრილ, უსწორმასწორო
 რელიეფზე, აბსოლუტური ნიშნულებით 523,0–526,0 მ. სსიპ გარემოს ეროვნული
 სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების “ქ. თბილისის გეოლოგიური
 საფრთხეების შეფასების ანგარიში“-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების
 მიხედვით, საკვლევი უბანი და სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება დაბალი
 გეოლოგიური საფრთხის ზონას. სამშენებლო მოედნის მახლობლად და
 მიმდებარედ, საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი,
 კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის, ამიტომ, მიწის ნაკვეთი
 მდგრადია.
2. სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნაყარი
 გრუნტის ფენა მხედველობაში არ მიიღება, იგი უნდა მოიჭრას): ამ ს.გ.ე-ების
 ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრ. 4

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ , გ/სმ ³	სვედრითი შეჭიდულობა C კპა	შიგახახუნის კუთხე φ გრად	დეფორმაციის მოღული E მპა	პირობითი საანგარიშო წინააღობა R ₀ , კგ/სმ ²	სიმტკიცე ერთდერბა კუმშვაზე R _c მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A _n	1.95	63	18°	21	3.8		0.42	თიხა
	α =0,85	1.94	60	17°					

	$\alpha = 0,95$	1.93	58	16°					მოყვითალო
II	A_n	1.88	41	17°	15	2.7		0.42	თიხა ყავისფერი
	$\alpha = 0,85$	1.86	35	16°					
	$\alpha = 0,95$	1.85	32	15°					
III	A_n	2.10			2000		8.8	0.20	ქვიშაქვა
		2.09					8.5		
		2.08					8.3		
<p>შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება – ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას $\alpha=0.95$, დეფორმაციაზე ანგარიშისას $\alpha=0.85$</p>									

- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით, ფუძის გრუნტებად რეკომენდებულია I და III ს.გ.ე. I ს.გ.ე-ს გამოყენების შემთხვევაში საძირკვლის ტიპი რეკომენდებულია – რკინა-ბეტონის ფილა. ხოლო III ს.გ.ე-ზე რკინა-ბეტონის დგარი ხიმინჯები.
- სამშენებლო მოედანზე მიწისქვეშა წყალი მიწის ზედაპირიდან 6,0 მ-ის სიღრმიდან დაფიქსირდა. წყალი სულფატურად აგრესიულია.
- სამშენებლო მოედნის ჩრდილოეთით მდებარეობს ქვემო სამგორის არხი, ვინაიდან არხი სამშენებლო მოედნიდან დაშორებულია 120 მ-ით, სამშენებლო მოედანზე არხის მოქმედება მოსალოდნელი არ არის.
- ქვაბულის მოწყობის დროს, სადრენაჟო და წყალქცევითი სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულ იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87 თავი 2-ის მოთხოვნები, ხოლო წყლის მოდენა ქვაბულის 1 მ²-ზე მიღებული იქნეს 0.01 ლ/წმ.
- ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით. ს.ნ. და წ. III-4-80 §9.11 ცხრ. 4-ის თანახმად 5 მ-მდე ქვაბულის მოწყობის შემთხვევაში ქვაბულის ფერდოს ქანობი ნაყარი გრუნტებისათვის მიიღება 1:1,25 ანუ 38°, თიხნარებისთვის მიიღება 1:0,75 ანუ 53°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

8. ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 “სეისმომედეგი მშენებლობა” სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრილი №1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი



გ. სადრაძე

საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების ტექნიკური დავალება

ობიექტის დასახელება: რადიოფარმაცევტული საწარმო

ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, გივი ამილახვრის ქ. 17ბ, საკადასტრო კოდი: 01.19.18.003.132

დაპროექტების სტადია: სამუშაო დოკუმენტაცია.

კომპლექსის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: პირველი (ГОСТ 27751-88).

მშენებლობის ტიპი: ახალი

პირობითი ნიშნული: 0.00;

საძირკვლის ძირის საორიენტაციო ნიშნული: - ;

მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია 2 (ორ) სართულიანი შენობის აშენება.

შენობის ტიპი: რკინა-ბეტონის კარკასული შენობა.

საძირკვლის ტიპი შეირჩევა სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით (სავარაუდოდ, ფილოვანი). საორიენტაციო დატვირთვა (წნევა) საძირკვლის ფილის ქვეშ 40 ტდ/მ².

ზიდი კონსტრუქციების მასალა: რკინაბეტონის კარკასი.

დამატებითი ინფორმაცია: „შემსრულებლის“ მიერ სამშენებლო მოედანზე გაყვანილ იქნას 7 (სარეკომენდაციო რაოდენობა). ჭაბურღილის სიღრმე განისაზღვროს გეოლოგის მიერ **СНИП 1.02.07-87** თანახმად, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) მეტრი სიღრმის ოდენობით.

„შემსრულებლის“ მიერ უნდა შეფასდეს უბნის ამგები გრუნტების, ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრები: ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, პუასონის კოეფიციენტი, სიმკვრივე, საგების კოეფიციენტი, ხახუნის კუთხე, შეჭიდულობა, საანგარიშო წინაღობა, ძირითადი კლდოვანი გრუნტების წინაღობა ერთდერდა კუმშვაზე როგორც ისე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ($R_c(\sigma); \rho; E; C; \mu; \varphi$) გამოფიტვის ხარისხი და სხვა.

ფუძეში გამოფიტული, ასევე დარბილებული კლდოვანი გრუნტის არსებობის შემთხვევაში, მისი ზღვრული წინაღობა ერთდერდა კუმშვაზე უნდა განისაზღვროს შტამპების გამოყენებით, თანახმად **СНИП 2.02.03-85 «СВАЙНЫЕ ФУНДАМЕНТЫ» 4.1.** პუნქტისა); უნდა განსაზღვრული იქნას ასევე ფუძე-გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით.

მოსაზღვრედ მდებარე შენობა-ნაგებობების არსებობის შემთხვევაში განსაზღვრული იქნას საძირკვლის ტიპი და ზოგადად შეფასდეს დაფუძნების პირობები.


საინჟინრო გეოლოგიური კვლევები უნდა შესრულდეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად;

492765


4616547

01.19.18.003.132

NRB



თანამდებობა	გვარი	სემლიწერა	ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132-ში რაიონგარემონტო საჯარო შენობის პროექტი			
ღირებულება	დ. ცხომელიძე		ჭაბურთილების განლაგების სქემა			
ინჟინერი	ბ. საღრაძე		სტადია	ფურცელი	ფურცელი	შ.კ.ს
შეამოწმა	თ. ხვეციანი		პროექტი	1	4	შ.კ.ს



პირობითი ნოჰენები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა, კეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, მცირე სიმტკიცის.


თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის გულებების ჩანართებით, ქვიშნარის ლინეებით და შუაშრებით, ნახევრალმკვარი.

ლითოლოგიური საზღვარი

თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, კნელკლასტიური.

ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	სემლოწერა	ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132-ში			
ღირებულება	დ. ცხომელიძე		რადიოფარმაკევტული საწარმო			
ინჟინერი	ბ. საღრაძე		შენიშვნის კომპლექტი			
შეასრულა	თ. ხვევიანი		საინჟინერო-გეოლოგიური ჯრილი I-I			
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურცელი	მასშტაბი
			პროექტი	2	4	შპს "საინჟინერო-გეოლოგიური ჯრილი I-I"



პირობითი ნოჰენები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა, გეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

ქვიშაქვების და არგილიტების მორიბეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, მცირე სიმტკიცის.


თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ლინეებით და შუაშრებით, ნახევრალმყარი.

ლითოლოგიური საზღვარი

თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელკლასტიური.

ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	სემლოწერა	ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132-ში			
დირექტორი	დ. ცხომელიძე		რადიოფარმაკევტული საწარმო			
ინჟინერი	ბ. ხაღრაძე		შენიშვნის კრედიტი			
შეასრულა	თ. ხვეწიაძე		საინჟინერო-გეოლოგიური პრილი II-II			
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურცელი	მასშტაბი
			პროექტი	3	4	3:100 კორ:200
						შ.კ.ს
						ფაბრიკის სახელი



პირობითი ნოჰენები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა, გეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.

ქვიშაქვების და არგილიტების მორიბეობა, მონაცრისფრო-მელურჯო, მცირე სიმტკიცის.

თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის გულებების ჩანართებით, ქვიშნარის ლინეებით და შუაშრებებით, ნახევრალმკვარი.

ლითოლოგიური საზღვარი

თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, კნელკლასტიური.

ბრუნტის წყლის დონე

თანამდებობა	გვარი	სემლოწერა	ძ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132-შო რაღიოფარმაგვეტული საჯარო შენობის კომპლექტი			
ღირებულება	დ. ცხოველიძე		საინჟინრო-გეოლოგიური პროექტი III-III			
ინჟინერი	ა. ხაღრაძე					
შეასრულა	თ. ხვევიანი					
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურცელი	მასშტაბი
			პროექტი	4	4	ვერსია 1:100 კორექტი 1:200
						შ.აკ
						"ინჟინერ-გეოლოგები"




ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №1

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

525.5

ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კრიტი	შრის სპეციის სიღრმე მ	შრის სიმკვარვე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQiv		1.5	1.5	524.0	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	pdQiv					თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.			2.8
3									
4									
5									
6							519.5	6.0	
7			7.6	6.1	517.9				
8	pdQiv					თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური.			8.2
9									
10				10.0	2.4		515.5		





ჭაბურღილის ბეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №2

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

525.3

ფენის №	სტრატეგოფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჯგუფი	შრის საბუჯის სიღრმე მ	შრის სიმაღლე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQiv		1.0	1.0	524.3	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკერივებული.			
2	pdQiv					თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ღინჯებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.			2.2
3									
4									
5									
6					519.3		6.0		
7									
8			8.0	7.0	517.3				
9	pdQiv					თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, მნეგლასტიური.			9.2
10									
11									
12									
13			13.2	5.2	512.1				
14	P ³ 2					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, მცირე სიმტკიცის.			14.0
15									15.8
16									
17									17.0
18			18.0	4.8	507.3				




ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №3

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

525.4

ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ტიპი	შრის სიღრმის სიღრმე მ	შრის სიძლიერე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQiv		1.0	1.0	524.4	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	pdQiv					თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, კვიშნარის ღინძრებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.			3.4
3									
4									
5									
6									
7			7.2	6.2	518.2		6.0		
8	pdQiv					თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური.			8.0
9									
10									





ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №4

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

525.3

ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ტიპი	შრის სიღრმის სიღრმე მ	შრის სიძლიერე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიქნა მ	დონის დაბრუნება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQiv		1.1	1.1	524.2	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	pdQiv					თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ღინჯებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.			2.2
3									
4									
5									
6					519.3		6.0		
7			7.8	6.7	517.5				
8	pdQiv					თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური.			9.0
9									
10									
11									
12									
13			13.5	5.7	511.8				
14	P ³ 2					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო, მცირე სიმტკიცის.			14.2
15									
16									16.0
17									17.2
18			18.0	4.5	507.3				




ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №5

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

524.8

ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური კრიტი	შრის სპეციის სიღრმე მ	შრის სიმკვარვე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამტარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.5	1.5	523.3	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	pdQIV		7.1	5.6	517.7	თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ლიზებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.	6.0		2.8
3									
4									
5									
6									
7									
8	pdQIV		10.0	2.9	514.8	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური.			8.0
9									
10									




ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №6

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

524.5

ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ტიპი	შრის სიღრმის სიღრმე მ	შრის სიძლიერე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQiv		1.0	1.0	523.5	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
2	pdQiv					თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, კვიშნარის ღინჯებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.			2.0
3									
4									
5									
6					518.5		6.0		
7	pdQiv		6.5	5.5	518.0				
8						თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელპლასტიური.			7.2
9									
10			10.0	3.5	514.5				




ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

ჭაბ. №7

მასშ: 1:20

აბს. ნიშნ

524.3


ფენის №	სტრატეგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ტიპი	შრის სპეციფიკაცია მ	შრის სიმკვრივე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამიწვნა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2	tQIV		2.5	2.5	521.8	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის ნატეხების და კენჭების ჩანართებით, შემკვრივებული.			
3	pdQIV		6.8	4.3	517.5	თიხა მოყვითალო ფერის, თაბაშირის ბუდეების ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით და შუაშრეებით, ნახევრადმყარი.	6.0		
7	pdQIV		10.0	3.2	514.3	თიხა მოყვითალო-ყავისფერი, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ძნელბლასტიური.			

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა №17ბ, ნაკვ. №01.19.18.003.132

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

როგითი №	კაბერდოლის/შერფის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ											ტენიანობა W%		პლასტიკურობა				სიმკვრივე, გრ/სმ ³				ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S _w	შექვილლობა, C _α კ/სმ ²	შინაგანი ხასხუნის კოეფიციენტი, φ	გრუნტის დასახელება		
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემაკვებელი	ზედა ზღვარი, W _L %	ქვედა ზღვარი, W _p %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p	დენალობის მაჩვენებელი, I _d	ძისერალური ნაწილაკების ρ _s	ბუნებრივი, ρ							ჩინჩის, ρ _d	
1	1	2.8																21.3	37.0	19.0	18.0	0.13	2.72	1.95	1.61	41	0.692	0.84	0.67	17	თიხა ნახევრადმყარი
2	2	2.2																21.5	37.5	19.4	18.1	0.12	2.72	1.97	1.62	40	0.678	0.86	0.66	18	თიხა ნახევრადმყარი
3	3	3.4																24.3	41.0	23.0	18.0	0.07	2.72	1.92	1.54	43	0.761	0.87	0.57	19	თიხა ნახევრადმყარი
4	4	2.2																20.2	36.8	17.2	19.6	0.15	2.73	1.96	1.63	40	0.674	0.82	0.61	16	თიხა ნახევრადმყარი
5	5	2.8																22.3	40.8	21.9	18.9	0.02	2.73	1.92	1.57	42	0.739	0.82	0.65	17	თიხა ნახევრადმყარი
6	6	2.0																23.1	37.5	20.0	17.5	0.18	2.72	2.00	1.62	40	0.674	0.93	0.63	17	თიხა ნახევრადმყარი
7	1	8.2																28.2	47.0	20.8	26.2	0.28	2.73	1.87	1.46	47	0.872	0.88	0.47	18	თიხა ძნელპლასტიური
8	2	9.2																27.9	46.9	18.7	28.2	0.33	2.73	1.86	1.45	47	0.877	0.87	0.40	15	თიხა ძნელპლასტიური
9	3	8.0																27.4	39.1	19.8	19.3	0.39	2.73	1.88	1.48	46	0.850	0.88	0.48	14	თიხა ძნელპლასტიური
10	4	9.0																26.8	40.1	19.7	20.4	0.35	2.72	1.90	1.50	45	0.815	0.89	0.33	16	თიხა ძნელპლასტიური
11	5	8.0																25.5	39.4	17.2	22.2	0.37	2.74	1.92	1.53	44	0.791	0.88	0.40	17	თიხა ძნელპლასტიური
12	6	7.2																26.8	39.6	20.4	19.2	0.33	2.74	1.84	1.45	47	0.888	0.83	0.39	20	თიხა ძნელპლასტიური

შ.პ.ს. "თბილისის გეოტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი :
თარიღი: 30.11.2022



მ. ბეკურაშვილი

ბრუნტების ძვრახე გამოცდის შედეგები

ალბომდამუშავებელი	სტაღია	პროექტი
ქ. თბილისი, გვი ამილახვარის ქუჩა ნაკ. №01.19.18.003.132	თარიღი	30.11 2022
მანოს აღწერა	ჯაბ/შუროვის №	1
თისა მოყვითალო ფერის ნახევრადმეჯარი	ნომრის №	1
	სიღრმე მ	2.8 3.0


გრუნტში მარილების შემცველობა

